ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ერთსაფეხურიანი საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი

2021/2022 სასწავლო წელი

კვლევის მიზანი. კვლევა მიზნად ისახავდა თსუ მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვას სასწავლო კურსისა და პედაგოგების შეფასების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია/ინსტრუმენტი. კვლევა ჩატარდა ცენტრალიზებულად, გამოყენებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარი ყოველსემესტრული გამოკითხვისთვის. სტუდენტებს მიეწოდათ ლინკი საუნივერსიტეტო შიდა სისტემის გამოყენებით, თუმცა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა სტუდენტენტებს (კურსების მიხედვით) გაუგზავნეს შეხსენების წერილი. სტუდენტებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გამოკითხვა იყო ანონიმური. სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება წარედგინათ დამატებითი კომენტარებიც.

გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გამოავლინა სტუდენტების დაბალი აქტივობა. გამოკითხვის შედეგები ტრადიციულად შეჯამდა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ჯამი, საშუალო არითმეტიკული, მედიანა, სტანდარტული გადახრა.

2.5-5 შორის შეფასება ჩაითვლა დადებითად; ხოლო 2-2.5 - პრობლემატურ შეფასებად. 1-2 ფარგლები - არადამაკმაყოფილებლად.

შეფასებები მერყეობს 3.5-დან და ზემოთ ფარგლებში. იყო ერთეული დაბალი შეფასება, თუმცა კითხვარების ძალიან მცირე რაოდენობის და პასუხების მეტად დაბალი მაჩვენებლის გამო შეფასებები არ ჩაითვალა ვალიდურად.

აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა ერთსაფეხურიანი საგანამანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურად გზად განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის ერთობლივად ორგანიზებული შეხვედრების ჩატარება, რომლის დროსაც ტუდენტების მიერ წამოჭრილი საკითხები მყისიერად გაზიარდება პროგრამის ხელმძღვანელებთან რეაგირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის შეხვედრებს საფუძველი ჩაეყარა 2021 წელს და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული მიდგომებისთვის სისტემატური ხასიათის მიცემას.